სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სტრატეგიული განვითარების მუდმივმოქმედი საბჭოს საქმიანობის წესი

მუხლი 1. მიზანი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტრატეგიული განვითარების მუდმივმოქმედი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) საქმიანობის წესის მიზანია განსაზღვროს და დააკონკრეტოს საბჭოს მოვალეობები, უფლებამოსილებები, ანგარიშვალდებულება და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მუხლი 2. საბჭოს მოვალეობები და უფლებამოსილებები

1. საბჭო ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებას, რა მიზნითაც ახდენს უნივერსიტეტის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აქტივობების შეფასებას (ხსენებული შეფასების ფარგლებში საბჭო შეიმუშავებს ხედვის პრაქტიკაში დანერგვისა და იმპლემენტაციის გზებს), სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმის ეფექტურ მონიტორინგს, საჭირო ანგარიშების/რეკომენდაციების მომზადებას რექტორისა და აკადემიური საბჭოსთვის.
2. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და მასთან დაკავშირებული კონკრეტული დოკუმენტების (სტრატეგიული განვითარების გეგმის/სამოქმედო გეგმის) მონიტორინგი ხორციელდება სანდო რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებზე დაყრდნობით, რისი მიზანიც არის დაგეგმილ სამუშაოებსა და დამდგარ შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენა და მონაცემების გაანალიზება.
3. საბჭო საქმიანობის შედეგებს წარადგენს ანგარიშის სახით, რომელიც მოიცავს სტრატეგიული განვითარების მიმართულებით არსებული მდგომარეობის ანალიზს და რეკომენდაციებს საჭირო აქტივობების დაგეგმვის/იმპლემენტაციის მიზნით.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული მიზნების შესრულების მიზნით საბჭო:
1. აფასებს უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი სტრატეგიულად მნიშვნელოვან აქტივობებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრატეგიული განვითარების მიზნით საჭირო აქტივობების დაგეგმვის/იმპლემენტაციის ნაწილში.
2. ზედამხედველობს და აანალიზებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს, რა მიზნითაც უფლებამოსილია:

ა) შეიმუშავოს სტრატეგიების შესრულების დამატებითი ინდიკატორები, რომელიც იქნება კონკრეტული და გაზომვადი მონაცემი (სტუდენტთა რაოდენობა, სტატიები, პუბლიკაციები, პატენტები, სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებლები და ა.შ.);

ბ) შეიმუშავოს ძირითადი ინდიკატორების დამატებითი მეთვალყურეობის ეფექტური მექანიზმები (სტუდენტების შენარჩუნების მაჩვენებლები, კვლევის დაფინანსება, ფაკულტეტის სტუდენტთა თანაფარდობა, დამთავრების მაჩვენებლები და ა.შ.);

გ) შეადგინოს საანგარიშო პერიოდში სტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების SWOT (ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები) ანალიზი;

დ) გაანალიზოს საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული მონაცემები და შეადაროს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მსგავს ორგანიზაციებს (მაგალითად სხვა უნივერსიტეტებთან მიმართებით);

ე) გაზარდოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესის ავტომატიზაცია და დიგიტალიზაცია, რათა ზედამხედველობა იყოს გამჭვირვალე, სწრაფი და ეფექტური;

ვ) უზრუნველყოს პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, პერსონალი, კურსდამთავრებულები და ა.შ.) მაქსიმალური ჩართულობა და შესაბამისი გამოკითხვებით უზრუნველყოს უკუკავშირის მიღება;

ზ) რეგულარულად (პერიოდულად) გამართოს სტრატეგიული მიმართულებების პროგრესის განხილვის თემატური შეხვედრები სხვადასხვა წარმომადგენლობასთან (მაგ., უნივერსიტეტის მენეჯმენტი, ფაკულტეტის წარმომადგენლობა, დამსაქმებლები, სტუდენტები და ა.შ.);

თ) ორგანიზება გაუწიოს უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს;

ი) შეიმუშავოს/გააუმჯობესოს უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ანგარიშგების ფორმები და სხვადასხვა აქტივობაზე პასუხისმგებელი პირებიდან ინფორმაციის მიღების ფორმატი;

კ) სტრატეგიული განვითარების გეგმის ეფექტური ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს სხვა აქტივობა.

5. საბჭო ამ მუხლში მითითებული უფლებამოვალეობების ჯეროვნად შესრულების მიზნით მის მიერ განსაზღვრული ფორმით და პერიოდულობით სტრუქტურული ერთეულებისგან გამოითხოვს ინფორმაციას არანაკლებ წელიწადში ერთხელ, რომლის საფუძველზეც შეაფასებს, როგორც უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებას, ასევე უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის/სამოქმედო გეგმის შესრულებას, შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით.

6. საბჭოს შეუძლია ამ წესის მიზნებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით დაგეგმოს და გაატაროს სხვა საჭირო ღონისძიებებიც.

მუხლი 3. ანგარიშვალდებულება

1. საბჭო ანგარიშვალდებულია რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე. საბჭო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ანგარიშს (შემუშავებულ რეკომენდაციებთან ერთად) განსახილველად გადასცემს რექტორს და აკადემიურ საბჭოს არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

მუხლი 4. საქმიანობის წესის მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა

1. საბჭოს საქმიანობის წესის, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი, რომლის თაობაზეც გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი.

2. საბჭო უფლებამოსილია რექტორს მიმართოს წინადადებით საქმიანობის წესში ცვლილების ან/და დამატების შეტანის თაობაზე.